

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პროფესიული კოლეჯის „განთიადი“
წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის დამფუძნებლები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - დამფუძნებლები).
2. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. კოლეჯი საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებს დამოუკიდებლად.
4. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კოლეჯის მისამართია: ქ. გორი, ბესიკის ქ. N2.
6. ელექტრონული ფოსტის მისამართია: collegiantiadi@gmail.com.

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. კოლეჯის მიზნებია:
 - ა) ფორმალური პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში-პროგრამები) განხორციელება.
 - ბ) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.
 - გ) პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნების დაკმაყოფილება.
2. თავის მიზნების მისაღწევად კოლეჯი:
 - ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს, მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
 - ბ) ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
 - გ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
 - დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
 - ე) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
 - ვ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - ზ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
 - თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. კოლეჯის მართვის ორგანოები და კოლეჯის სტრუქტურა

კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება.

მუხლი 4. კოლეჯის დირექტორი

1. კოლეჯის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელთა საერთო კრება.
2. კოლეჯის დირექტორი არის კოლეჯის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. მას შეიძლება ჰყავდეს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
3. მოადგილე დირექტორის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.
4. კოლეჯის დირექტორი არის ანა დათუაშვილი (დაბადებული 1974 წლის 28 აგვისტოს, პირადი N59001042705, მის. გორი, ი. სუხიშვილის ქ. N14, ბ. N28).

მუხლი 5. კოლეჯის დირექტორის ფუნქციები

კოლეჯის დირექტორი:

- ა) ახორციელებს კოლეჯის მართვას;
- ბ) წარმოადგენს კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- გ) კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმების) და მოკლევადიანი კურსების/პროგრამების შემუშავების პროცესს და ამტკიცებს მათ;
- დ) კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმების) და მოკლევადიანი კურსების/პროგრამების განხორციელების პროცესს;
- ე) დამფუძნებელთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს;
- ვ) დამფუძნებელთა საერთო კრებასთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;
- ზ) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;
- თ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებას;
- ი) არა უგვიანეს პირველი თებერვლისა, აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს დამფუძნებელთა საერთო კრებას გაცნობის ან/და განხილვის მიზნით კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;
- კ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, ხოლო ისეთი გარიგებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატება კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს, დებს კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრების თანხმობით;
- ლ) წარმართავს და ზედამხედველობს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;
- მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება

1. კოლეჯის საქმიანობის საზედამხედველო ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება. დამფუძნებელთა საერთო კრებაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.
3. კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
4. ამტკიცებს დამფუძნებელთა საერთო კრების მუშაობის წესს.

